შეტყობინება მერვე

განვიცადოთ ყოვლისმომცველი ქრისტე
და დავტკბეთ ყოვლისმომცველი ქრისტეთი
როგორც კეთილი მიწით – მიწით,
რომელშიც ჩვენ არაფერში არ განვიცდით უკმარისობას

ადგილები წერილიდან: კოლ. 1:12; 2:6-15, 19; რჯლ. 8:9; დაბ. 17:1; ფილიპ. 1:19

I. ქრისტე როგორც პირველობის მქონე და ყოვლისმომცველი არის ხვედრი წმიდანებისა სინათლეში ჩვენი განცდისა და ტკბობისათვის – კოლ. 1:12:

ა. ხვედრში იგულისხმება მემკვიდრეობის ხვედრი, რომლის მაგალითიც არის ის, თუ როგორ იყო განაწილებული ხვედრებად ქანაანის კეთილი მიწა, მიცემული ისრაელის შვილებისათვის მემკვიდრეობა – იესო ნ. 14:1.

ბ. ახალი აღთქმისეული მორწმუნეების ხვედრი არის არა ფიზიკური დედამიწა, არამედ ყოვლისმომცველი ქრისტე როგორც მაცოცხლებელი სული – კოლ. 2:6-7; გალ. 3:14:

1. კეთილი მიწის სიმდიდრე არის წინასახე სხვადასხვა ასპექტებისა ქრისტეს აურაცხელი სიმდიდრის როგორც უხვი შეწევნისა მისი მორწმუნეებისათვის მის სულში – რჯლ. 8:7-10; ეფეს. 3:8; ფილიპ. 1:19.
2. მიწის სიმდიდრით ტკბობისას, მორწმუნეები ქრისტეში შენდებიან, ხდებიან ქრისტეს სხეული, როგორც ღმერთის სახლი და ღმერთის სამეფო – ეფეს. 1:22-23; 2:21-22; 1 ტიმ. 3:15; მათე 16:18-19; რომ. 14:17.

გ. ჩვენ უნდა ვიყოთ *„სინათლეში“*, რათა დავტკბეთ ყოვლისმომცველი ქრისტეთი როგორც კეთილი მიწით; სინათლე არის ღმერთის თანდასწრება – კოლ. 1:12; 1 პეტ. 2:9; ესაია 2:5; 1 იოანე 1:5:

1. ღმერთი არის სინათლე – მუხ. 5
2. ღმერთის სიტყვა არის სინათლე – ფსალ. 119:105, 130.
3. ქრისტე არის სინათლე – იოანე 8:12; 9:5.
4. ქრისტეს სიცოცხლე – არის სინათლე – 1:4.
5. მორწმუნეები არიან სინათლე – მათე 5:14; ფილიპ. 2:15.
6. ეკლესია არის სასანთლე, რომელიც გამოსცემს სინათლეს – გამოცხ. 1:20; ფსალ. 73:16-17.

II. კოლ. 2:6-7-ში ნაჩევნებია, რომ ქრისტე როგორც კეთილი მიწა, მიწა, რომელშიც ჩვენ არაფერში არ განვიცდით უკმარისობას (რჯლ. 8:9), არის მდიდარი ნიადაგი, რომელშიც ჩვენ ვართ ფესვგადგმული, რათა გავიზარდოთ იმ ელემენტების ხარჯზე, რომლებსაც ჩვენ შევიწოვთ ნიადაგიდან (ეფეს. 3:17ბ):

ა. ღმერთი არის ნამდვილი მიწათმოქმედი, და პავლე იყო მისი ერთ-ერთი თანამშრომელი (1 კორ. 3:6-9; 2 კორ. 6:1ა); პავლე რგავდა მორწმუნეებს ქრისტეში როგორც ნიადაგში.

ბ. დღითი დღე ჩვენ უნდა დავუთმოთ დრო იმას, რომ შევიწოვოთ ქრისტე, ის, ვისშიც ვართ ჩვენ დარგულნი; ჩვენ უნდა დავუთმოთ დრო იმას, რომ დავტკბეთ უფლით როგორც ყოვლისმომცველი მიწით, რათა შევიწოვოთ ჩვენში ყველა ელემენტი ქრისტესი როგორც მდიდარი ნიადაგის და გავხდეთ სრული მასში ჩვენს განცდაში – კოლ. 2:10ა; 4:2:

1. თუ ჩვენ გვინდა, შევიწოვოთ ქრისტეს როგორც ნიადაგის სიმდიდრე, ჩვენ გვჭირდება ნაზი, ახალგაზრდა ფესვები – 4 მეფ. 19:30; ესაია 37:31; იერ. 17:7-8; შდრ. მარკ. 4:16-17; 2 კორ. 4:16.

2. ჩვენ უნდა დავივიწყოთ ჩვენი სიტუაციის, ჩვენი მდგომარეობის, ჩვენი წარუმატებლობების და ჩვენი სისუსტეების შესახებ და უბრალოდ დავუთმოთ დრო იმას, რომ შევიწოვოთ უფალი; როდესაც ჩვენ ვუთმობთ დროს იმას, რომ შევიწოვოთ ის, ჩვენ ვიზრდებით ღმერთის ზრდით ჩვენში ქრისტეს სხეულის ასაშენებლად – ლუკა 8:13; მათე 14:22-23; 6:6; კოლ. 2:7ა, 19.

გ. ჩვენი შეხება უფალთან არ უნდა იყოს ნაჩქარევი; ჩვენ უნდა ვავარჯიშოთ ჩვენი სული, რათა დავრჩეთ უფლის თანდასწრებაში იმ მიზნით, რომ შევიწოვოთ ის; ჩვენ უნდა გავატაროთ მეტი დრო, რათა შევიწოვოთ უფალი – თაყვანი ვცეთ მას, ვაქოთ ის, მადლიერი ვიყოთ მისი და თავისუფლად ვილაპარაკოთ მასთან – ფსალ. 27:4; გამ. 33:11, 14; მათე 6:6; 14:22-23; მარკ. 1:35; შდრ. ეფეს. 4:20-21.

დ. სხეულის ზრდა დამოკიდებულია ღმერთის ზრდაზე, ღმერთის გადიდებაზე, ჩვენში ღრმად სუბიექტურ დონეზე; სხეულის ზრდა არის ღმერთის ნაგებობის ზრდა, ფაქტიური აშენება ეკლესიისა ხდება მორწმუნეების სიცოცხლეში ზრდის მეშვეობით – კოლ. 2:19; ეფეს. 2:20-22; 4:16.

III. კოლ. 2:8-15-ში წარმოდგენილია სრული აღწერა და განმარტება ქრისტესი როგორც ნიადაგის, რომელშიც ჩვენ არაფერში განვიცდით უკმარისობას; როდესაც ჩვენ ვუთმობთ დროს იმას, რომ შევიწოვოთ ის როგორც ყოვლისმომცველი მიწა, ფაქტები, რომლებიც არის ამ მუხლებში, ხდება ჩვენი განცდა; ფაქტები არის ქრისტეში, ხოლო განცდა ხორციელდება ქრისტეთი და ქრისტესთან ერთად:

ა. ქრისტე როგორც ნიადაგი – არის ის, ვისშიც ღმერთის მთელი სისავსე მკვიდრობს ჩვენში სხეულებრივად – მუხ. 9:

1. *სისავსეში* იგულისხმება არა ღმერთის სიმდიდრე, არამედ ღმერთის სიმდიდრის გამოხატულება; ქრისტეში მკვიდრობს არა უბრალოდ ღვთაების სიმდიდრე, არამედ გამოხატულება იმ სიმდიდრისა, რასაც წარმოადგენს ღმერთი – მუხ. 9; 1:15, 18; 3:10-11.
2. როდესაც ჩვენ ფესვსვიდგამთ ქრისტეში როგორც ნიადაგში, ჩვენ ვხდებით სავსენი მასში; ჩვენ ვივსებით ყველა ღვთაებრივი სიმდიდრით, რათა გავხდეთ მისი გამოხატულება – ეფეს. 3:8, 19.
3. ქრისტეში როგორც ნიადაგში ჩვენ ვხდებით ავსებულნი, დასრულებული, გასრულყოფლებული, დაკმაყოფილებული და საფუძვლიანად ვღებულობთ შეწევნას; ჩვენ არაფერში არ განვიცდით უკმარისობას – შდრ. ფილიპ. 1:19.

ბ. ქრისტე როგორც ნიადაგი არის თავი ყოველგვარი ხელმწიფებისა და ძალაუფლების – კოლ. 2:10.

გ. ქრისტეში როგორც ნიადაგში არის მომაკვდინებელი ძალა, რომელიც აკვდინებს ხორცს – მუხ. 11.

დ. ქრისტეში როგორც ნიადაგში არის ელემენტი, რომელიც გვხდის ჩვენ დამარხულებს – მუხ. 12ა.

ე. ქრისტეში როგორც ნიადაგში არის ელემენტი, რომელიც გვხდის ჩვენ აღმდგრებს – მუხ. 12ბ.

ვ. ქრისტეში როგორც ნიადაგში არის ელემენტი, რომელიც გვაცოცხლებს ჩვენ – მუხ. 13.

ზ. ქრისტეში როგორც ნიადაგში არის ხელნაწერის წაშლა დადგენილებებში – მუხ. 14.

თ. ქრისტეში როგორც ნიადაგში არის გამარჯვება ბოროტ სულებზე ატმოსფეროში – მუხ. 15.

IV. გარდა ამისა, ქრისტე როგორც ნიადაგი არის ისტორია და საიდუმლო ღმერთისა მთელი სიმდიდრით მისი პიროვნებისა და პროცესების – მუხ. 2:

ა. ქრისტე არის ღმერთი – იოანე 1:1; 20:28-29; ესაია 9:6; იოანე 14:9-10: 2 კორ. 3:17; 1 კორ. 15:45ბ; საქმე. 2:36.

ბ. ქრისტე არის ადამიანი – 1 ტიმ. 2:5:

1. ის არის მოციქული – ებრ. 3:1.
2. ის არის წინასწარმეტყველი – საქმე. 3:22-23.
3. ის არის მრჩეველი – ესაია 9:6.
4. ის არის მასწავლებელი – მათე 23:8, 10.
5. ის არის ბელადი – ებრ. 2:10.
6. ის არის დამრიგელები – ლუკა 5:5.
7. ის არის მონა – ესაია 42:1.
8. ის არის მწყემსი – იოანე 10:11.
9.. ის არის მოწმე – გამოცხ. 1:5.
10. ის არის მღვდელი – ებრ. 7:25-26.
11. ის არის შუამავალი – 8:6.
12. ის არის თავდებობა – 7:22.
13. ის არის მეფე – მათე 2:2.
14. ის არის ნეფე – იოანე 3:29; 2 კორ. 11:2.

გ. ქრისტე არის ჩვენთვის ყველაზე აუცილებელი – იოანე 14:6:

1. ის არის ჩვენი სინათლე – 8:12.
2. ის არის ჩვენი ჰაერი – 20:22.
3. ის არის ჩვენი წყალი – 4:14.
4. ის არის ჩვენი საკვები – 6:35.
5. ის არის ჩვენი ტანსაცმელი – გალ. 3:27.
6. ის არის ჩვენი საცხოვრებელი – იოანე 15:5.
7. ის არის ჩვენი ტკბობა და მოსვენება – კოლ. 2:16-17; მათე 11:28.

დ. ქრისტე არის ჩვენი ღვთაებრივი უზრუნველყოფა – 1 კორ. 1:30:

1. ის არის ჩვენი ძალა – მუხ. 24ბ.
2. ის არის ჩვენი სიბრძნე – მუხ. 24ბ, 30ბ.
3. ის არის ჩვენი სამართლიანობა – მუხ. 30ბ.
4. ის არის ჩვენი გაწმიდანება – მუხ. 30ბ.
5. ის არის ჩვენი გამოსყიდვა – მუხ. 30ბ.

ე. ქრისტე არის ეკლესიისათვის:

1. ის არის სხეულის თავი – კოლ. 1:18.
2. ის არის თავის სხეული – 1 კორ. 12:12.
3. ის არის საფუძველი ეკლესიის – 3:11.
4. ის არის ქვაკუთხედი ღმერთის სახლისა, ეკლესიის – ეფეს. 2:20.
5. ის არის ახალი კაცის ყველა ასო – კოლ. 3:10-11.

V. ქრისტე როგორც ჩვენი ხვედრი, ჩვენი აურაცხელად კეთილი მიწა, რომელშიც ჩვენ არაფერში არ განვიცდით უკმარისობას, – არის ჩვენი სრულადსაკმარისი ღმერთი და დიადი „მე ვარ“, რომელიც ჩვენ შეგვიძლია განვიცადოთ და რომლითაც ჩვენ შეგვიძლია დავტკბეთ დღითი დღე; ის, რასაც ის წარმოადგენს აკმაყოფილებს ჩვენს ყოველგვარ საჭიროებას, რათა დააკმაყოფილოს მისი საჭიროება – მისი ეკლესიის როგორც მისი სხეულის აშენებისთვის და მისი ეკლესიის როგორც მისი პატარძლის მომზადებისთვის მის დასაბრუნებლად – 1:12; რჯლ. 8:9; დაბ. 17:1; ფილიპ. 1:19; იოანე 8:58; ებრ. 11:6; მათე 16:18; გამოცხ. 19:7-9; 21:2.